მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №52
2019 წლის 02 დეკემბერი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ააიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრის“-თვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ
მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-ე, 244-ე და ააიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრის“ 2019 წლის 15 ნოემბრის №148 წერილის შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს ააიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრს“ უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, კერძოდ, ქ. მარტვილი, თავისუფლების ქუჩა №10-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე 1 ოთახი საერთო ფართით 20კვ.მ. (ს/კ 41.09.37.115.01.504).
1. აღნიშნული განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ალექსი გაბისონია